დამტკიცებულია ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის მიერ კომიტეტის მე-4 სხდომაზე (31.05.2019)

ფინანსური განათლების პროგრამებისა და სასწავლო მასალების სერტიფიცირების მაღალი დონის პრინციპები

1. **მორგებულია მიზნობრივი სეგმენტის საჭიროებებზე**

ფინანსური განათლების პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს იმ ჯგუფის და/ან ჯგუფის წევრების თავისებურებებს, ცხოვრებისეულ სიტუაციებს, გამოწვევებს, ინტერესებსა და მიზნებს, რომლისთვისაცაა განკუთვნილი.

2. **აქვს პოზიტიური ცვლილებების მიღწევის კონკრეტული ხედვა და შეფასების გეგმა**

ფინანსური განათლების პროგრამის ავტორებს უნდა ჰქონდეთ გააზრებული პროგრამის „ლოგიკური მოდელი“ და უნდა იცოდნენ, თუ როგორ აპირებენ პროგრამის შედეგების შეფასებას. პროგრამა, საბოლოო ჯამში, ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან ცვლილებებზე.

3. **შინაარსობრივად ეხმიანება ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრულ საკვანძო საკითხებს**

ფინანსური განათლების პროგრამა ზოგადად უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური განათლების ეროვნულ სტრატეგიას და ითვალისწინებდეს იმ საკვანძო საკითხებს, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სტრატეგიით, ასევე, სხვა შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტებით.

4. **იყენებს ინფორმაციის გაცვლის მრავალფეროვან არხებსა და ფორმებს**

ფინანსური განათლების პროგრამა უნდა იყოს პროაქტიულად შეთავაზებული და ფართოდ ხელმისაწვდომი სამიზნე ჯგუფისთვის; პროგრამა უნდა მოიცავდეს ისეთ აქტივობებს, რომლებიც იყენებს სწავლების სხვადასხვა სტილსა და ფორმას.

5. **ეხმარება ადამიანებს მიაღწიონ ფინანსურ მიზნებს**

ფინანსური განათლების პროგრამა ბენეფიციარებს უნდა ეხმარებოდეს ფინანსური მიზნების მიღწევაში, რაც ფინანსური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი წინაპირობაა. პროგრამა უნდა ქმნიდეს მოტივაციასა და შესაძლებლობას, ბენეფიციარებმა პრაქტიკაში გამოიყენონ და ქცევებში ასახონ მიღებული ცოდნა.

6. **გასაგებად გადმოცემული და ადვილად გამოყენებადი**

ფინანსური განათლების პროგრამები უნდა იყოს წარმოდგენილი სამიზნე ჯგუფის წევრებისთვის მარტივი და გასაგები ენითა და ფორმით. კომპლექსური ფინანსური საკითხები მაქსიმალურად ადვილად უნდა იყოს გადმოცემული, ხოლო პროგრამის სტრუქტურა ხელს უნდა უწყობდეს ინფორმაციის უპრობლემოდ გადაცემას. პროგრამა უნდა იყენებდეს კომუნიკაციის ეფექტურ და სამიზნე ჯგუფებზე მორგებულ ფორმებს.

7. **მარკეტინგული მიზნებისგან თავისუფალი**

ფინანსური განათლების პროგრამა უნდა შეიცავდეს თავისდროულ, შეძლებისდაგვარად ამომწურავ და მიუკერძოებელ ინფორმაციას, და მის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბენეფიციარების ფინანსური განათლების ამაღლება, და არა რაიმე პროდუქტის და/ან მომსახურების რეკლამირება. ბრენდირება მაქსიმალურად შეზღუდულად უნდა იქნას გამოყენებული; თუმცა, ბრენდის მითითება შესაძლებელია, როგორც პროგრამის ავტორის, ან სპონსორის სახით.